



**თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით**

საქმე №28/5114-14

20 ნოემბერი, 2014 წელი

**თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები - ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზლაიძე**

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი – ვ. კ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 ივლისის განჩინება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

დავის საგანი – მესაკუთრედ ცნობა, სადავო ფართებზე მოპასუხეთა თანასაკუთრების უფლების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

2014 წლის 16 ივნისს ვ. კ.-მ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №X/XXXX) ბათილად ცნობა მოითხოვა. განმცხადებლის მითითებით, 2008 წლის სექტემბერს, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ნ. ს.-ს, სასამართლო პროცესში მისი მონაწილეობის გარეშე, 2001 წლის გადაწყვეტილებით ტექ. ბიუროში აღურიცხავს დედამისის დანაშთ ფართებზე მფლობელობის უფლება (რომელი ჩანაწერის ნამდვილობასაც სადავოდ ხდის ცალკე სარჩელით და ადმინისტრაციული წესით მიმდინარეობს საქმის განხილვა), ხოლო 2009 წლის 02 თებერვალს დიდუბე - ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე საკრებულომ ნ. ს.-ს სახელზე საკუთრების მოწმობა გასცა. განმცხადებელი ასევე უთითებს, რომ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების არსებობის შესახებ, იგი სხვადასხვა საპროცესო საშუალებებით ცდილობს სადავო გადაწყვეტილებისა და მისი თანმდევი შედეგების გაუქმებას. სასამართლოსათვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით მიმართვის უფლება კი მას არ გააჩნდა, ვინაიდან მითითებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წელი იყო გასული. ამჯერად კი სარგებლობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით მიმართავს. რაც შეეხება განცხადების შემოტანისათვის დადგენილ ერთთვიან ვადას, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა პროცესუალური შესაძლებლობა, სადავო გადაწყვეტილების არსებობის შეტყობიდან ერთი თვის განმავლობაში, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, მიემართა სასამართლოსათვის, მაგრამ, სხვადასხვა საპროცესო საშუალებით გამოხატავდა პროტესტს და ცდილობდა და დღემდე ცდილობს მისი თანმდევი შედეგების გამოსწორებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 ივლისის განჩინებით ვ. კ.-ს განცხადება, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, დაუშვებლობის გამო, განუხილველი დარჩა. სასამართლოს განმარტებით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, თავად განცხადებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ვ. კ.-სთვის ტექ. ინვენტარიზაციის არქივიდან აღებული ცნობა-დახასიათების მეშვეობით, სულ მცირე, 2008 წლის სექტემბერში გახდა ცნობილი, რომ ნ. ს.-ს, სასამართლო პროცესში მისი მონაწილეობის გარეშე, 2001 წლის გადაწყვეტილებით ტექ. ბიუროში აღურიცხავს დედამისის დანაშთ ფართზე მფლობელობის უფლება. 2009 წლის 14 ივლისით დათარიღებული დაზუსტებული სარჩელით ვ. კ. სწორედ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა. საქმის მასალებში წარმოდგენილი სასამართლოს სხდომის ოქმით (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 12 თებერვლის სხდომის ოქმი) ირკვევა, რომ სარჩელის ავტორს სარჩელის დასაზუსტებლად ვადა მიეცა. დაზუსტებულ სარჩელში კი სასარჩელო მოთხოვნა ტრანსფორმირებულია. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა სასამართლოში (2014 წლის 19 ივნისი) მიმართვამდე რამდენიმე წლით ადრე



იცოდა დიდუბე-ჩუღურეთის 2001 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილების არსებობის თაობაზე. საქმის მასალებში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სარჩელის ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას. სასამართლო აღნიშნავს იმასაც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

ვ. კ.-მ 2014 წლის 11 აგვისტოს განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, 2008 წლის სექტემბერს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრების 5 წლიანი ვადა უკვე გასული იყო. შესაბამისად, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა მისთვის სადავო გადაწყვეტილების შესახებ გაგებიდან ერთი თვის განმავლობაში, ბათილობის მოთხოვნით, მიემართა სასამართლოსათვის. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმაციას, კერძო საჩივრის ავტორი უთითებს, რომ სასარჩელო წესით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობაზე დავას პერსპექტივა არ ჰქონდა. ბოლო დროს საპროცესო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებამ კი მას საშუალება მისცა, სასამართლოსათვის, გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნით, მიემართა. შესაბამისად, მას ერთთვიანი ვადის დაცვა ვერ მოეთხოვება, ვინაიდან მის მიერ გადაწყვეტილების არსებობის გაგება და განცხადების შეტანის შესაძლებლობა სხვადასხვა დროში მოხდა.

სააპელაციო პალატამ შეისწავლა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ასევე ის მტკიცებულებები, რომლებიც აღნიშნულ გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად. სასამართლო დეტალურად გაეცნო განცხადებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების ბათილობის შესახებ, ასევე იმ საფუძვლებს, რომლებსაც აღნიშნული განცხადება ემყარება და მტკიცებულებებს, რომლითაც მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დასტურდება, შესაბამისად, აღნიშნული გზით შეამოწმა განცხადების საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების ბათილობის თაობაზე წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.



განსახილველ შემთხვევაში, საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

მითითებული გადაწყვეტილება, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებას, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში 2013 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნდა.

მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისათვის დაწესებული 5 წლიანი ვადის ლიმიტი გაუქმდა, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, **განცხადების შეტანისათვის გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა ძალაში დარჩა**. შესაბამისად, განხორციელებული ცვლილების შედეგად მივიღეთ შემდეგი მოცემულობა: 2013 წლის 18 ნოემბრის შემდეგ ბათილია ნორმა, რომელიც 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის სასამართლო გადაწყვეტილების ბათილობის შეზღუდვას აწესებდა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, თუმცა, შენარჩუნებულია აღნიშნული ფაქტის შეტყობიდან ერთთვიანი ვადის ლიმიტი, რომელიც სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას ვადით ზღუდავს. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ იმისათვის, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ბათილად იქნეს ცნობილი, მიუხედავად მისი „5 წლიანი საპროცესო ხანდაზმულობისა“, აუცილებელია, რომ აღნიშნული ფაქტის შესახებ განმცხადებელმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის, ანუ 2013 წლის 18 ნოემბრის შემდეგ შეიტყოს და ინფორმაციის მიღებიდან 1 თვის ვადაში მიმართოს სასამართლოს. თუმცა, პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ პირებმა, რომელთაც იცოდნენ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის შესახებ, სასამართლოს, როგორც წესი, იმ საფუძვლით არ მიმართავდნენ, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებათა ბათილობის 5 წლიანი ვადა გაშვებული იყო, ხოლო მათთვის აღნიშნულ გადაწყვეტილებების შესახებ 5 წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ გახდა ცნობილი. შესაბამისად, პალატა თვლის, რომ აღნიშნულმა პირებმა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება სწორედაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად მოიპოვეს. ამიტომაც, მათთვის ერთთვიანი გასაჩივრების ვადა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან უნდა დაიწყოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ



გამოცხადების მომენტიდან და 15 დღეში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. საკანონმდებლო მაცნეში აღნიშნული გადაწყვეტილების გამოქვეყნება 15 დღის ვადაში განმარტებულია ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მე-6 პუნქტშიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, მითითებული გადაწყვეტილება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში 2013 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნდა. შესაბამისად, აღნიშნული ვადის დენა 2013 წლის 19 ნოემბრიდან დაიწყო და ამავე წლის 19 დეკემბერს ამოიწურა. ვ. კ.-მ კი თბილისის საქალაქო სასამართლოს, გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნით, 2014 წლის 19 ივნისს მიმართა. ამდენად, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე განცხადების დასაშვებად მიჩნევის მიზნებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ვ. კ.-ს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 ივლისის განჩინება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ უნდა დარჩეს უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე, 390-ე, 393-ე, 394-ე, 414-ე, 420-ე, 421-ე, 422-ე, 426-ე მუხლებით, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილებით

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. ვ. კ.-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 ივლისის განჩინება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე;
3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნატალია ნაზლაძე

ნათია გუჯაბიძე